

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ევროპის
სხვა ქვეყნებთან მიმართებით

2016 -2018 წლების ევროსტუდენტის კვლევის შედეგები



საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო

eurostudent.eu
☆☆☆☆☆☆

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



წინამდებარე პროექტი განხორციელდა ევროკომისიის თანადაფინანსებით. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

ბროშურა მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამის „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი“ ფარგლებში ქვეპროგრამის კოორდინატორის, შოია წერეთლის მიერ „ევროსტუდენტის“ საერთაშორისო და ეროვნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (www.eurostudent.eu).

ბროშურაში განხილულია 2016-2018 წლებში ჩატარებული ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის შედეგები საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების მონაცემებთან მიმართებით.

ბროშურა განკუთვნილია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, უმაღლესი განათლების პოლიტიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისა და განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი და განმახორციელებელი პირებისათვის, სტუდენტებისა და აგრეთვე საკითხით დაინტერესებული სხვა სპეციალისტებისათვის.

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი	4
კვლევის მიზანი	5
კვლევის მეთოდოლოგია	7
ძირითადი შედეგები	8
სტუდენტთა ასაკი და სქესი	8
სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილი/შვილები	9
სტუდენტთა მშობლების განათლება	9
მშობლების ფინანსური მდგომარეობა	10
უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიცია (გადასვლა სკოლიდან უმალესში)	10
სასწავლო პროგრამის/განათლების სფეროს არჩევანი	11
სტუდენტთა გენდერული განაწილება სწავლების საფეხურის, პროგრამების და მშობლების განათლების მიხედვით	14
განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები	15
სტუდენტთა მიერ დახარჯული დრო სწავლასა და მუშაობაზე	16
სტუდენტთა დასაქმება	18
საკუთარი თავის იდენტიფიცირება: “პირველ რიგში სტუდენტი ვარ თუ დასაქმებული?”	19
სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა	20
სტუდენტთა დანახარჯები	23
სტუდენტთა საცხოვრებელი (Form of Housing)	24
სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა	26
ძირითადი რეკომენდაციები	27
გამოყენებული მასალები	28
დანართები	28

შესავალი

„ევროსტუდენტი“ არის ფართომასშტაბიანი საერთაშორისო კვლევა, რომელიც 90-იანი წლებიდან რეგულარულად ტარდება ევროპის ოცზე მეტ ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია, საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი, ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, შვეიცარია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ფინეთი, ხორვატია, უნგრეთი, ირლანდია, მონტენეგრო, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვენია, სლოვაკეთი და სხვა).

"ევროსტუდენტის" ძირითადი მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვება ევროპის ქვეყნების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, შემოსავლებისა და ხარჯების, სასწავლო პროცესით კმაყოფილების და ა.შ. შესწავლის საფუძველზე.

აღნიშნული კვლევა თავისი სპეციფიკიდან და მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში არსებული სიტუაციის შედარების შესაძლებლობას იძლევა, რაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა განათლების პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირებისათვის, განათლების მკვლევრებისთვის, სტუდენტების მდგომარეობით დაინტერესებული ყველა პირისა თუ ორგანიზაციისათვის. კვლევა ასევე გამოავლენს ევროპული განათლების სივრცის ფუნქციონირების პრობლემებსა და ბარიერებს.

„ევროსტუდენტის“ კვლევის მონაცემებით ვლინდება დაახლოებით 250 საკვანძო ინდიკატორი. მაგ.: უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, სწავლის განმავლობაში სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური პირობები, საერთაშორისო მობილობა და ა.შ.

გამოკითხვის შედეგად, კონსორციუმი „ევროსტუდენტი“ უნიფიცირებული ფორმით აგროვებს ინფორმაციას ყველა მონაწილე ქვეყნიდან, ამასთან, აკონტროლებს ხარისხსა და წარმოდგენილი მონაცემების სანდოობას სოციოლოგიური თვალსაზრისით. მონაცემთა საერთო ბაზის საფუძველზე მზადდება თემატური საერთაშორისო შედარებითი ანგარიშები, რომლებიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.eurostudent.eu. კვლევა ვრცელ ინფორმაციას აწვდის განათლების სფეროს პოლიტიკაზე პასუხისმგებელ პირებს, განათლების მკვლევრებს და, ასევე, სტუდენტების მდგომარეობით დაინტერესებულ ყველა მხარეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევითა და მხარდაჭერით 2014 წელს საქართველო "ევროსტუდენტის" კვლევას შეუერთდა საპილოტე რეჟიმში; შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე¹, გამოკითხვა ჩატარდა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2016 წელს საქართველო კვლევაში სრულად

¹ საქართველოს საპილოტე ქვეყნის სტატუსი იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ გვქონდა შეზღუდული დრო და რესურსები და შესაბამისად, კვლევის შერჩევა შემოიფარგლა სახელმწიფო არასპეციალიზებული უსდ-ებით (კვლევამ მოიცვა სულ 2501 სტუდენტი);

ჩართო (მონაწილე ქვეყნის სტატუსით). კვლევამ მოიცვა ქვეყანაში ავტორიზებული 71 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება².

საქართველოში "ევროსტუდენტის" ჩატარების მიზანი იყო ამ ქვეყნის უსდ-ების სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, აგრეთვე, სწავლისა და ცხოვრების პირობების შესწავლა. კვლევა განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მოქმედი ქვეპროგრამის "ევროსტუდენტის ეროვნული პროექტი" ფარგლებში.

2016-2018 წლებში საერთაშორისო შედარებითი კვლევის („ევროსტუდენტი VI“) დაფინანსების წყაროებია: ევროკავშირი, გერმანიის განათლებისა და კვლევის ფედერალური სამინისტრო, დანიის განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტრო. მონაწილე ქვეყნების კვლევის დაფინანსებას უზრუნველყოფს ქვეყნების ბიუჯეტი, ხოლო ქვეყანათა მონაწილეობის საფასური დაიფარა თანადაფინანსებით, ერაზმუს + -ის ფარგლებში გამოყოფილი სპეციალური გრანტით.

ევროსტუდენტის კვლევის განხორციელებაში, ჩვეულებრივ, ჩართული არიან სამინისტრო ან სახელმწიფო სააგენტო, ადგილობრივი კვლევითი ჯგუფი და ევროსტუდენტის საერთაშორისო კონსორციუმის თემატური ჯგუფები.

კვლევის მიზანი

ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის მიზანია ევროპის უმაღლესი განათლების სოციალური სფეროს შესახებ ინფორმაციის შეგროვება ევროპის ქვეყნების სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, შემოსავლებისა და ხარჯების, სასწავლო პროცესით კმაყოფილების და ა.შ. შესწავლის საფუძველზე.

ევროსტუდენტის საერთაშორისო კვლევის ძირითადი საკითხები/სფეროებია:

- *სწავლის ტიპი და ინტენსივობა;*
- *სტუდენტთა მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესვლის გზები;*
- *სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა/პირობები (Social Background);*
- *სტუდენტთა დასაქმება და დროის განაწილება;*
- *სტუდენტთა ფინანსური წყაროები;*
- *სტუდენტთა სხვადასხვა ხარჯი;*

² კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ, პარაგრაფი „კვლევის მეთოდოლოგია“;

- სტუდენტთა საცხოვრებელი პირობები;
- სტუდენტთა საერთაშორისო და ადგილობრივი მობილობა;
- სტუდენტთა მიერ სამომავლო გეგმებისა და სწავლის შეფასება.

ევროსტუდენტის საერთაშორისო შედარებითი კვლევა აქცენტს აკეთებს ჯგუფებზე, რომლებიც განსხვავდებიან შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

1. სტუდენტების სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები. ესენია:

- ასაკი - ა) 22 წლამდე, ბ) 22-24 წელი, გ) 25-29 წელი, დ) 30 წელი და მეტი;
- სტუდენტები უმაღლესი განათლების ფონით - ა) სტუდენტები, რომელთა ერთ მშობელს მაინც აქვს უმაღლესი განათლება; ბ) სტუდენტები, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება;
- სტუდენტები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით/ მათ გარეშე;
- სტუდენტები მიგრაციის საფუძვლით ა) სტუდენტები, რომლებიც როგორც თვითონ, ისე მათი მშობლებიც დაიბადნენ კვლევის ქვეყანაში და სრული სასკოლო განათლება მიიღეს ამ ქვეყანაში; ბ) სტუდენტები, რომლებიც დაიბადნენ კვლევის ქვეყანაში, თუმცა მათი ერთი მშობელი მაინც დაიბადა საზღვარგარეთ და სკოლა დაასრულა სხვა ქვეყანაში;
- სქესი - ა) ქალი ბ) მამაკაცი.

2. სტუდენტების ცხოვრების პირობები

- შემოსავლების წყაროები (50%-ზე მეტი ერთი წყაროდან) - ა) ოჯახის მხარდაჭერაზე დამოკიდებული; ბ) საკუთარ შემოსავალზე დამოკიდებული; გ) სახელმწიფო მხარდაჭერაზე დამოკიდებული;
- სტუდენტები ფინანსური სირთულეებით/მათ გარეშე;
- საცხოვრებელი სიტუაცია - ა) მშობლებთან მცხოვრები; ბ) დამოუკიდებლად მცხოვრები;
- ანაზღაურებადი სამუშაოს მქონე სტუდენტები - ა) სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ კვირაში 20 საათამდე დროის განმავლობაში სემესტრში; ბ) სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ კვირაში 20 საათზე მეტი დროის განმავლობაში სემესტრში; გ) სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო სემესტრის განმავლობაში;

3. სტუდენტების სწავლის პირობები:

- სასწავლო პროგრამა (დარგები/დარგობრივი მიმართულებები)
- სწავლა/სწავლების ინტენსივობა - ა) მაღალი ინტენსივობა, როცა სტუდენტი 40 სთ-ზე მეტს უთმობს სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს; ბ) დაბალი ინტენსივობა, როცა სტუდენტი 40 სთ-ზე ნაკლებს უთმობს სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს;

- უნივერსიტეტის ტიპი - (ჩვენთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება).
 - სასწავლო პროგრამის საფეხური - ა) ბაკალავრი, ბ) მაგისტრი, გ) გრძელვადიანი პროგრამა, დ) მოკლევადიანი პროგრამა და ა.შ.
4. სწავლასთან დაკავშირებული წინაპირობები:
- უსდ-ში შესვლის გზა - ა) სტანდარტული გზა; ბ) ალტერნატიული გზა;
 - განათლების წყარო - ა) საერთაშორისო სტუდენტი, რომელსაც აქვს უცხოური კვალიფიკაცია უსდ-ში შესვლისთვის; ბ) ადგილობრივი სტუდენტი, რომელმაც უსდ-ში რეგისტრაციის კვალიფიკაცია მოიპოვა კვლევის ქვეყანაში.
 - ტრანზიციის გზა - ა) დაგვიანებული ტრანზიციის გზა, როცა სტუდენტი აბარებს უსდ-ში სკოლის დასრულებიდან 2 წელზე მეტი დროის გასვლის განმავლობაში; ბ) პირდაპირი ტრანზიციის გზა, როცა სტუდენტი აბარებს უსდ-ში სკოლის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებული იყო ევროსტუდენტის სტანდარტული, ე.წ. ბირთვი კითხვარი. მონაწილე ქვეყნების მიერ მოხდა მისი ადაპტაცია ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით, აგრეთვე, დაემატა რიგი კითხვები განათლების პოლიტიკის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

სასწავლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში გამოყენებული იყო კითხვარი სამ - ქართულ, რუსულ და ინგლისურ - ენაზე.

2016-2018 წლის ევროსტუდენტი VI-ის საერთაშორისო კვლევაში მონაწილეობას იღებდა ევროპის 28 ქვეყანა - ისლანდია, ირლანდია, ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პორტუგალია, თურქეთი, საქართველო, იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, მალტა, სლოვაკეთი, პოლონეთი, სლოვენია, უნგრეთი, ხორვატია, სერბეთი, ალბანეთი, რუმინეთი.

უმეტეს ქვეყნებში კვლევის მონაწილეები შემოიფარგლნენ ბაკალავრიატის და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებით.

მთლიანად ევროპაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 320 000-ზე მეტმა სტუდენტმა.

საქართველოში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 7557-მა სტუდენტმა, მათ შორის იყო 6162 ბაკალავრი, 835 მაგისტრი, 560 ერთსაფეხურიანი სამედიცინო პროგრამის სტუდენტი. მონაწილეების გენდერული განაწილება ასეთი იყო: 4027 ქალი, 3530 მამაკაცი. კვლევის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შერჩევის პროცედურა შედგენილი იყო ისე, რომ

გამოიკითხულიყო 50 და მეტი სტუდენტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ-ს), საგანმანათლებლო საფეხურის, პროგრამის, სქესის, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. მონაცემები შეიწონა ასაკის, სქესის, უსდ-ს და სასწავლო პროგრამის მიხედვით. კვლევაში ჩართული იყო ქვეყანაში ავტორიზებული თითქმის ყველა არასპეციალიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება³.

კვლევის ადმინისტრირება განხორციელდა ინტერნეტ-ლინკზე განთავსებული კითხვარის საშუალებით.

ძირითადი შედეგები

ქვემოთ წარმოდგენილია ზემოაღნიშნულ თემებთან დაკავშირებით საერთაშორისო შედარებითი კვლევის შედეგად სხვადასხვა ჯგუფში მიღებული ძირითადი შედეგები.

სტუდენტთა ასაკი და სქესი

მონაწილე ქვეყნებში სტუდენტთა საშუალო ასაკი 25 წელია (SD=6.2, Median=23.1). ქვეყანათა უმრავლესობაში სტუდენტთა უმეტესობის ასაკი 25 წელზე ნაკლებია.

საქართველო, ალბანეთთან და საფრანგეთთან ერთად შედის იმ ევროპულ ქვეყნებში, სადაც საშუალოდ ყველაზე ახალგაზრდა, 23 წელზე ნაკლები ასაკის სტუდენტები არიან (საქართველოს და ალბანეთის სტუდენტთა საშუალო ასაკი - 22 წელი, საფრანგეთის - 22.8 წელი). ყველზე ასაკოვანი სტუდენტები, საშუალო ასაკით 28 წლიდან 30 წლამდე, არიან შემდეგ ქვეყნებში: ისლანდია, შვედეთი, ფინეთი და ნორვეგია.

მონაწილე ქვეყნების მონაცემთა მიხედვით, ბაკალავრ სტუდენტთა საშუალო ასაკი 23.9 წელია, ხოლო მაგისტრ სტუდენტთა ასაკი - 28 წელი. საქართველოში საბაკალავრო

³ მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალი იხ. დანართში. "ევროსტუდენტის" მეთოდოლოგიის მიხედვით, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია არ მონაწილეობდნენ კვლევაში. ვინაიდან სასულიერო უსდ-ში სტუდენტთა ნაკლები რაოდენობაა და ასეთი უსდ-ები სტუდენტებს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვან პროგრამებს სთავაზობენ, სამინისტროსთან კონსულტაციის შედეგად, შერჩევის პროცედურის შემუშავებისას სასულიერო უსდ-ები ერთ კატეგორიაში გაერთიანდა. სტუდენტების დაბალი აქტივობის გამო ორი უნივერსიტეტი, ფაქტობრივად, გამოეთიშა კვლევას, ესენია - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

პროგრამის სტუდენტების საშუალო ასაკი 21,5 წელია, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისა - 25,7 წელი.

მონაწილე ქვეყნების მონაცემთა მიხედვით, საშუალოდ, ქალი სტუდენტების წილი 56%-ია. ყველა ქვეყანაში, გარდა თურქეთისა და გერმანიისა, ქალი სტუდენტები სჭარბობენ მამაკაც სტუდენტებს და მათი წილი 50%-ს აღემატება. თურქეთში ქალ სტუდენტთა წილი 45%-ია, ხოლო გერმანიაში - 48%. განსაკუთრებით მაღალია ქალი სტუდენტების წილი ესტონეთში, ისლანდიაში, ლიეტუვაში, ნორვეგიასა და შვედეთში, სადაც სტუდენტების 60-დან 63 პროცენტამდე ქალია. **საქართველოში** ქალი სტუდენტების წილი 53%-ია.

მონაწილე ქვეყნების მიხედვით მდებრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი 24.9 წელია, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა ასაკი კი - 25 წელი. **საქართველოში** მდებრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი 21.9 წელია, ხოლო მამრობითი სქესის სტუდენტთა საშუალო ასაკი - 22.1 წელი.

სტუდენტები, რომელთაც ჰყავთ შვილი/შვილები

ქვეყანათა ორ მესამედში იმ სტუდენტების წილი, რომელთაც ჰყავთ შვილები, არის 10% ან ნაკლები. ამ ქვეყანათა რიცხვში შედის **საქართველოც**, სადაც შვილიანი სტუდენტების წილი 7%-ს შეადგენს.

შვილიანი სტუდენტების წილი მონაწილე ქვეყნებს შორის ყველაზე მცირეა **იტალიაში** და იგი 1%-ს შეადგენს. საფრანგეთსა და სერბეთში ასეთ სტუდენტთა წილი 3-3%-ს შეადგენს.

ისლანდიაში, ნორვეგიაში, ესტონეთში, ფინეთსა და შვედეთში სტუდენტების 15%-ზე მეტი მშობელია. შვილიანი სტუდენტების რიცხვი ისლანდიაში 33%-ია, ნორვეგიაში - 21%, ესტონეთში - 20%, ფინეთში - 17%, ხოლო შვედეთში -16%.

სტუდენტთა მშობლების განათლება

ევროპის ქვეყნები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან იმ სტუდენტების წილით, რომელთა მშობლებიდან არცერთს არ აქვს უმაღლესი განათლება (ISCED⁴ level 5-8) და ეს სხვაობა მერყეობს 73%-დან 22%-მდე.

იმ სტუდენტთა წილი, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, **ყველაზე მაღალია თურქეთში და შეადგენს 73%-ს**, შემდეგ მოდის იტალია - 69%-ით, პორტუგალია - 65%-ით, მალტა - 62%-ით და პოლონეთი - 60%-ით.

⁴ <http://uis.unesco.org/en/topic/international-standard-classification-education-isced>

იმ სტუდენტთა წილი, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, ყველაზე დაბალია ნორვეგიაში (22%), დანიაში (25%), გერმანიაში (27%), საქართველოსა (31%) და ესტონეთში (33%).

მშობლების ფინანსური მდგომარეობა

მშობელთა ფინანსური მდგომარეობის შეფასება მოხდა სტუდენტთა მიერ. მონაწილე ქვეყანათა შორის 34%-დან 9%-მდე ვარირებს იმ სტუდენტების წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მათი მშობლები საკმაოდ გაჭირვებულნი არიან. ამ მხრივ ლიდერობს თურქეთი (34%), ირლანდია (30%), უნგრეთი (29%), გერმანია (27%), ხოლო ყველაზე მცირე წილი მოდის ჩეხეთზე (9%), ნორვეგიაზე (10%), სერბეთზე (13%) და ფინეთზე (15%). საქართველოში ასეთ სტუდენტთა წილი 23%-ია.

აღსანიშნავია, რომ განსხვავებულია გაჭირვებული ოჯახების წილი სტუდენტთა მშობლების განათლების მიხედვით. ეს განსხვავება ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში 25%-ს აღემატება. ასე მაგალითად, თურქეთში გაჭირვებულ სტუდენტთა წილი 26%-ით მაღალია იმ სტუდენტთა შორის, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, იმ სტუდენტებთან შედარებით, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ. ამ პარამეტრის გათვალისწინებით, ნორვეგიასა და გერმანიაში გაჭირვებულ სტუდენტთა სხვაობა ამ ჯგუფებში 23-23%-ს შეადგენს, სერბეთში - 22%-ს, ხოლო უნგრეთში - 14%-ს. რაც შეეხება ჩეხეთს, ნორვეგიას, შვედეთს და ფინეთს, ამ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, შესაბამისად, შეადგენს 10%, 14%, 22% და 13%-ს.

საქართველოში გაჭირვებულ სტუდენტთა წილი 8%-ით მაღალია იმ სტუდენტთა შორის, რომელთა არცერთ მშობელს არ აქვს უმაღლესი განათლება, იმ სტუდენტებთან შედარებით, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ (შდრ. 29% და 21%).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრანზიცი (გადასვლა სკოლიდან უმაღლესში)

ქვეყანათა უმრავლესობაში სტუდენტების დიდმა ნაწილმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარა სკოლის (ან მისი ეკვივალენტის) დამთავრებიდან 2 წლის განმავლობაში. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს, სადაც ის შეადგენს 96%-ს და საფრანგეთს (95%), ასევე მაღალია მაჩვენებელი (94%) იტალიასა და სლოვენიაში. ქვეყანათა საშუალო მაჩვენებელი ამ პარამეტრის მიხედვით 86%-ს შეადგენს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს შვედეთს (72%), ასევე ისლანდიასა (73%) და ფინეთს (73%).

აღსანიშნავია, რომ მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტთა 7% აღნიშნავს, რომ მათ სწავლა შეწყვიტეს მიმდინარე სასწავლო პროგრამაზე სულ მცირე 1 წლის განმავლობაში. სტატუსის შეჩერების გამოცდილების მქონე სტუდენტების რაოდენობა ყველაზე მცირეა

საქართველოში (4%), გერმანიასა (4%) და სლოვაკეთში (2%). ასეთი გამოცდილება ყველაზე ხშირად აქვთ სტუდენტებს უნგრეთში (15%), ესტონეთსა (14%) და თურქეთში (11%).

საინტერესოა, რომ მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტთა 33%-ს აქვს ერთ წელზე მეტი შუალედი საბაკალავრო პროგრამასა და სამაგისტრო პროგრამაზე სწავლას შორის. თურქეთში და ირლანდიაში ყველაზე მეტ სტუდენტს აქვს ერთ წელზე მეტი წყვეტა საგანმანათლებლო საფეხურებს შორის (შესაბამისად, 66% და 61%). ასეთი წყვეტა ყველაზე იშვიათად გვხვდება იტალიასა და სლოვაკეთში (შესაბამისად სტუდენტთა 9% და 8%). საქართველოში წილი იმ სტუდენტებისა, რომელთაც აქვთ ერთ წელზე მეტი შუალედი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლას შორის, 46%-ს შეადგენს.

სასწავლო პროგრამის/განათლების სფეროს არჩევანი

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც მოცემულია სტუდენტთა პროცენტული განაწილება სწავლების პროგრამების (ISCED-F 2013⁵) მიხედვით კვლევაში მონაწილე ქვეყნებში.

ქვეყნები ⁶	განათლება	ხელოვნება, ჰუმანობა	სოციალური მეცნიერება, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია	ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი	საბუნებრივი მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა	საინჟინერო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა	აგრონომია, სატყეო, მეთევზეობა, ვეტერინარია	ჯანდაცვა, კეთილდღეობა	სერვისები/მომსახურება
ისლანდია	8.5	13.0	20.8	18.3	7.4	8.0	11.5	1.8	10.5	0.0
იტალია	4.8	14.0	12.3	21.9	9.0	1.8	17.2	3.1	15.8	0.0

⁵ <http://uis.unesco.org/en/topic/international-standard-classification-education-isced>

⁶ არ არის წარმოდგენილი ალბანეთის მონაცემები.

დანია	10.8	17.2	20.7	6.8	7.2	2.7	16.3	0.0	18.2	0.0
ნორვეგია	16.7	8.4	9.1	21.0	7.1	4.3	12.3	0.8	20.0	0.4
შვედეთი	11.1	7.9	12.0	11.6	10.8	8.3	16.0	0.9	20.8	0.5
ავსტრია	15.5	11.9	15.9	18.5	9.6	5.5	13.7	1.2	7.4	0.8
შვეიცარი ა	13.3	12.5	9.8	24.1	8.8	2.7	13.5	0.9	13.4	1.2
რუმინეთ ი	4.4	9.5	11.9	17.7	5.5	8.2	22.5	5.6	13.0	1.7
ჩეხეთი	10.9	10.7	12.3	16.4	9.1	7.0	16.0	4.9	10.2	2.5
ლიეტუვა	5.4	8.5	9.6	30.3	3.5	3.2	19.5	2.4	15.0	2.6
მალტა	4.5	15.5	10.9	22.2	6.8	10.0	9.5	0.5	17.2	2.9
გერმანია	13.2	9.8	8.0	19.6	7.3	6.0	22.1	1.9	9.0	3.0
ირლანდ ია	7.0	18.8	4.9	18.4	14.5	10.4	11.2	1.6	10.0	3.2
სლოვაკე თი	9.5	8.4	14.4	25.6	7.2	9.9	9.3	3.5	8.9	3.4
საქართვე ლო	1.9	13.5	36.8	13.8	4.1	3.6	7.2	4.6	10.8	3.7
ფინეთი	4.8	11.9	6.5	19.1	5.7	10.2	18.9	1.9	16.9	4.0
სერბეთი	7.1	12.7	11.2	19.6	6.8	6.9	17.8	5.1	8.6	4.2
უნგრეთი	10.6	9.3	5.7	26.3	3.5	5.4	18.8	4.8	11.3	4.2
ესტონეთ ი	6.2	11.0	8.8	21.3	6.6	8.5	17.3	1.8	14.3	4.3
თურქეთ ი	8.1	11.4	7.9	24.0	3.9	3.7	22.8	3.3	9.6	5.2
ლატვია	4.3	10.2	7.1	23.0	3.3	7.7	19.0	1.1	18.7	5.5
ხორვატი ა	6.2	8.3	5.6	31.5	3.7	5.8	17.9	4.4	10.3	6.4
ნიდერლ ანდები	11.9	7.4	10.0	26.1	6.4	3.4	9.4	1.3	17.4	6.7

პორტუგალია	3.5	9.1	9.2	22.2	4.7	2.6	25.2	2.1	14.1	7.2
საფრანგეთი	3.2	13.9	9.4	25.4	10.2	2.5	17.4	0.0	10.4	7.6
სლოვენია	6.0	9.8	10.0	15.9	8.1	4.5	20.8	3.7	13.5	7.6
პოლონეთი	8.1	8.8	11.7	22.9	3.9	4.7	20.1	1.7	9.4	8.5

განათლების პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ნორვეგიაში (ნორვეგიის სტუდენტების 16.7%), ხოლო ყველაზე მცირე - საქართველოში (სტუდენტების 1.9%).

ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს ირლანდიაში (სტუდენტების 18.8%), ხოლო ყველაზე მცირე - ნიდერლანდებში (სტუდენტების 7.4%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 13.5%.

სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკისა და ინფორმაციის პროგრამებზე ქვეყნებს შორის სტუდენტების ყველაზე დიდი წილი სწავლობს საქართველოში (სტუდენტების 36.8%), ხოლო ყველაზე მცირე - ირლანდიაში (სტუდენტების 4.9%).

ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს ხორვატიაში (სტუდენტების 31.5%), ხოლო ყველაზე მცირე - დანიაში (სტუდენტების 6.8%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 13.8%.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკისა და სტატისტიკის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს ირლანდიაში (სტუდენტების 15.5%), ხოლო ყველაზე მცირე - ლიეტუვაში (სტუდენტების 3.3%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 4.1%.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს ირლანდიაში (სტუდენტების 10.4%), ხოლო ყველაზე მცირე - იტალიაში (სტუდენტების 1.8%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 3.6%.

ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს პორტუგალიაში (სტუდენტების 25.2%), ხოლო ყველაზე მცირე - საქართველოში (სტუდენტების 7.2%).

აგრონომიის, მეტყვეობის, მეთევზეობის და ვეტერინარიის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს რუმინეთში (სტუდენტების 5.6%), ხოლო ყველაზე მცირე - ნორვეგიაში (სტუდენტების 0.8%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 4.6%.

ჯანდაცვისა და კეთილდღეობის პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს შვედეთში (სტუდენტების 20.8%), ხოლო ყველაზე მცირე - ავსტრიაში (სტუდენტების 7.4%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 10.8%.

სერვისების/მომსახურების პროგრამებზე ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი წილი სტუდენტებისა სწავლობს პოლონეთში (სტუდენტების 8.5%), ხოლო ყველაზე მცირე - ნორვეგიაში (სტუდენტების 7.4%). საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლობს სტუდენტების 3.7%.

სტუდენტთა გენდერული განაწილება სწავლების საფეხურის, პროგრამების და მშობლების განათლების მიხედვით

ყველა ქვეყანაში, გარდა თურქეთისა და გერმანიისა, ქალი სტუდენტები სჭარბობენ მამაკაც სტუდენტებს და მათი წილი 50%-ს აღემატება. თურქეთში ქალ სტუდენტთა წილი 45%-ია, ხოლო გერმანიაში - 48%. განსაკუთრებით მაღალია ქალი სტუდენტების წილი ესტონეთში, ისლანდიაში, ლიეტუვაში, ნორვეგიისა და შვედეთში, სადაც სტუდენტების 60%-დან 63%-მდე ქალია. საქართველოში ქალი სტუდენტების წილი 53%-ია. მონაწილე ქვეყნების მონაცემების მიხედვით, საშუალოდ, ქალი სტუდენტების წილი 56%-ია.

მონაწილე ქვეყნების მონაცემების მიხედვით, საშუალოდ, ბაკალავრიატზე ქალი სტუდენტების წილი 55%-ია, ხოლო სამაგისტრო პროგრამებზე - 56%-ია. ქვეყანათა უმრავლესობაში, მაგისტრატურაში ქალების იგივე წილი სწავლობს, რაც ბაკალავრიატში ან უფრო მეტი. თუმცა, რიგ ქვეყნებში, ქალთა წარმომადგენლობითი წილი მცირდება მაგისტრატურაში ბაკალავრიატთან შედარებით: თურქეთში - 22%-ით, შვედეთში და ალბანეთში - 10-10%-ით, ნორვეგიაში - 6%-ით, საფრანგეთში - 4%-ით, ხოლო სერბეთსა და სლოვაკეთში - 3-3%-ით. საქართველოში ბაკალავრიატის საფეხურზე ქალი სტუდენტების წილი 53%-ია, ხოლო სამაგისტრო საფეხურზე - 59%.

რაც შეეხება სწავლების ცალკეულ პროგრამებს, მკვეთრი გენდერული ასიმეტრიით გამოირჩევა ორი მიმართულება - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და განათლების პროგრამები.

კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე ქალი სტუდენტების წილი უფრო დაბალია, ვიდრე ქალი სტუდენტების საშუალო წილი სწავლების ყველა სფეროში ყველა ქვეყანაში.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე ქალ სტუდენტთა წილი განსაკუთრებით დაბალია იტალიაში (8%), უნგრეთში (10%), ლიეტუვაში (12%),

საქართველოში (11%), ნიდერლანდებში (11%), პოლონეთში (13%), სლოვაკეთში (13%), შვეიცარიასა (12%) და სლოვენიაში (14%). ამ ქვეყნებში სულ მცირე 75%-ით ნაკლები ქალია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე, ვიდრე ყველა დანარჩენ პროგრამაზე.

განათლების მეცნიერებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე ქალები წარმოდგენილი არიან უფრო მაღალი პროცენტული წილით, ვიდრე ქალი სტუდენტების საშუალო წილი სწავლების ყველა სფეროში ყველა ქვეყანაში, გარდა სერბეთისა. იტალიაში, **საქართველოში**, მალტაში, პორტუგალიასა და რუმინეთში ქალების წილი განათლების მეცნიერებებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე 62%-დან 80%-მდე უფრო მაღალია, ვიდრე ყველა დანარჩენ სფეროში.

განათლების პროგრამებზე ქალ სტუდენტთა წილი განსაკუთრებით მაღალია რუმინეთში (97%), **საქართველოში** (96%), იტალიაში (93%), ესტონეთში (92%), პორტუგალიაში (87%), შვედეთში (89%), პოლონეთში (86%), მალტაში (86%), ხორვატიაში (85), ლიეტუვაში (85%).

საწინააღმდეგო პერსპექტივიდან თუ შევხედავთ საკითხს და განვიხილავთ მამაკაცების პროცენტულ წილს ამ პროგრამების მიხედვით, ვნახავთ რომ, შესაბამისად, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამებზე არის მამაკაცთა ყველაზე მაღალი პროცენტული წილი მაშინ, როცა მათი პროცენტული წილი განათლების მიმართულებაზე ყველაზე დაბალია.

სტუდენტთა მიერ განათლების მეცნიერებისა და მასწავლებლის მომზადების პროგრამების არჩევანის პროცენტული წილი მკვეთრად განსხვავებულია მშობელთა უმაღლესი განათლების მიხედვით. კერძოდ, თითქმის ყველა ქვეყანაში, ფინეთის, თურქეთისა და სერბეთის გარდა, ის სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება, გაცილებით უფრო ნაკლებად ირჩევენ განათლების სფეროს, ვიდრე ისინი, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ.

მეორე მხრივ, ევროსტუდენტის კვლევაში მონაწილე ქვეყნების დაახლოებით 70%-ში ის სტუდენტები, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ, უფრო მეტად ირჩევენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკასა და სტატისტიკას, ვიდრე ისინი, რომელთა მშობლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ.

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტები

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებს შორის საკმაოდ განსხვავდება წილი იმ სტუდენტებისა, რომლებიც გარკვეული სახის უნარების შეზღუდვას, დარღვევებს, ჯანმრთელობის ხანგრძლივ პრობლემებს ან ფუნქციონალურ შეზღუდვებს აღნიშნავენ⁷.

საფრანგეთში, საქართველოში⁸, რუმინეთში, ალბანეთსა და სერბეთში განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს აღნიშნავს სტუდენტთა 10%-ზე ნაკლები.

ისლანდიაში, ნიდერლანდებში, ფინეთსა და შვედეთში ასეთი პრობლემების მქონე სტუდენტების წილი ყველაზე მაღალია და შესაბამისად, შეადგენს: ისლანდიაში სტუდენტთა 39%-ს, ნიდერლანდებში - 36%-ს, ფინეთში - 28%-ს და შვედეთში - 27%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა მიერ დასახელებული პრობლემები ყოველთვის არ არის თვალშისაცემი და შესაბამისად, მათი გარემოცვისთვის შესამჩნევი. ევროსტუდენტის კვლევაში მონაწილე ქვეყანათა დაახლოებით ორ მესამედში, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, სტუდენტების 1%-ს აქვს ჯანმრთელობის თვალსაჩინო პრობლემები და მხოლოდ 2 ქვეყანაში - ისლანდიაში და შვედეთში 5%-ზე მეტი სტუდენტი აღნიშნავს, რომ მათი პრობლემები შესამჩნევი ხდება გარკვეული დროის შემდეგ. საქართველოში ისეთ სტუდენტთა წილი, რომლებიც მიუთითებენ თვალსაჩინო პრობლემებზე დაახლოებით 1%-ია, ხოლო სტუდენტთა 0.8% აღნიშნავს, რომ მათი პრობლემები გარემოცვისთვის შესამჩნევი ხდება გარკვეული დროის შემდეგ.

სტუდენტთა მიერ დახარჯული დრო სწავლასა და მუშაობაზე

ეს მონაცემები ეხება სტუდენტების ე.წ. „დროის ბიუჯეტს“, რომელსაც ისინი ანაწილებენ საუნივერსიტეტო/სალექციო სწავლაზე (Thought Studies), ინდივიდუალურ მეცადინეობაზე (Personal Study Time) და ანაზღაურებად სამუშაოზე ტიპურ კვირაში სალექციო პერიოდის განმავლობაში.

⁷ აღსანიშნავია, რომ ეს შედეგი ეყრდნობა სტუდენტთა გამოკითხვას, რომელშიც მათ უნდა განეცხადებინათ ჯანმრთელობის პრობლემების/შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და ამდენად, ეს არის ე. წ. გაცხადებულ შემთხვევათა რაოდენობა.

⁸ საინტერესოა, რომ ოფიციალურად არსებული ინფორმაციით, 2015-2016 წლებში 67 ოფიციალური სტატუსის მქონე შშმ სტუდენტი იღებდა განათლებას. ამასთან, კვლევის შედეგებიდან ირკვევა, რომ სტუდენტთა 8.3% (სულ 603 სტუდენტი) საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო გარემოს, აღნიშნავს რა ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემებისა ან ფუნქციონალური შეზღუდვების ქონას, როგორებიცაა, ქრონიკული დაავადებები, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები, მობილურობის დარღვევა, სენსორული დარღვევები (მხედველობა, სმენა), სწავლის პრობლემები (ADHD, დისლექსია), მათ შორის, 131 სტუდენტის პრობლემები შესამჩნევია, ხოლო 473 სტუდენტის - არა.

სტუდენტების „დროის ბიუჯეტი“ ამ აქტივობებისთვის იწყება დაახლოებით 40 საათიდან კვირაში და ზოგიერთ ქვეყანაში კვირაში 50 საათსაც კი აჭარბებს. ევროსტუდენტის კვლევაში მონაწილე ქვეყნების 90%-ში სტუდენტთა მთლიანი „დროის ბიუჯეტი“ აღემატება კვირაში 40 საათს. **საქართველოში** სტუდენტების „დროის ბიუჯეტი“ კვირაში 46.3 სთ-ია.

საშუალოდ, მონაწილე ქვეყნებში, სტუდენტები საუნივერსიტეტო სალექციო სწავლასა და ინდივიდუალურ მეცადინეობაზე ერთსა და იმავე დროს ხარჯავენ - თითოეულზე კვირაში 17 საათს. თუმცა, არსებობს გარკვეული ვარიაციები ქვეყნებს შორის. **საქართველოში** სტუდენტები სალექციო სწავლაზე კვირაში 20 სთ-ს ხარჯავენ, ხოლო ინდივიდუალურ მეცადინეობაზე - 18 საათს.

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებში სტუდენტები კვირაში საშუალოდ ხარჯავენ 5-დან 20 საათამდე ანაზღაურებად სამუშაოზე, რაც მათი მთლიანი დროის 11%-დან 39%-მდე ნაწილს შეადგენს.

სტუდენტები უმაღლესი განათლების ფონის⁹ გარეშე, სხვა თანატოლებისაგან განსხვავებით, ხარჯავენ ნაკლებ დროს სასწავლო აქტივობებზე და მეტ დროს ანაზღაურებად სამუშაოზე. იგივე ვითარებაა შედარებით ასაკოვანი (30 წელზე მეტი ასაკის) სტუდენტების შემთხვევაში, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად, ასევე იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებმაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩააბარეს ალტერნატიული გზებით ან არიან დაგვიანებული ტრანზიციის სტუდენტები.

ზოგადად, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები უფრო მეტ დროს ხარჯავენ დამოუკიდებელ სწავლასა და ანაზღაურებად სამუშაოზე, ვიდრე - ბაკალავრიატის სტუდენტები, რომლებიც უფრო მეტ დროს უთმობენ საუნივერსიტეტო/სალექციო სწავლას. **საქართველოში** ბაკალავრიატის სტუდენტები ანაზღაურებად სამუშაოზე ხარჯავენ კვირაში 7.2 სთ.-ს, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტები - კვირაში 24 სთ.-ს. რაც შეეხება სალექციო მეცადინეობებზე დახარჯულ დროს და დამოუკიდებელ სწავლაზე დახარჯულ დროს, ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის ეს არის კვირაში საშუალოდ 20.1 სთ და 17.8 სთ, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებისთვის - კვირაში საშუალოდ 13.3 სთ და 14.4 სთ.

კვლევაში მონაწილე ქვეყნებში სტუდენტების მიერ **ანაზღაურებად სამუშაოზე დახარჯული დროის საშუალო** კვირაში შეადგენს 12 საათს. ანაზღაურებად სამუშაოზე ყველაზე ნაკლებ დროს - 5 სთ-ს კვირაში, ხარჯავენ იტალიელი სტუდენტები. 10 საათზე ნაკლებს კვირაში ხარჯავენ შემდეგი ქვეყნების სტუდენტები: სერბეთი და ალბანეთი (6-6 სთ), დანია (7 სთ), თურქეთი და საფრანგეთი (8-8სთ), შვედეთი, შვეიცარია, პორტუგალია და **საქართველო** (9-9 სთ).

ანაზღაურებად სამუშაოზე ყველაზე მეტ დროს - კვირაში 20 საათს ხარჯავენ ესტონელი, ლიეტუველი (კვირაში 19 სთ.), პოლონელი (18 სთ) და ჩეხი სტუდენტები (16 სთ). ანაზღაურებად სამუშაოზე დროის გაზრდა ხდება ორი გზით: სასწავლო აქტივობებთან დაკავშირებული დროის შემცირებით და დროის მთლიანი ბიუჯეტის გაზრდით. ჩვეულებრივ, დასაქმებულ სტუდენტებში შეიმჩნევა ტენდენცია, შეამცირონ სწავლაზე

⁹ უმაღლესი განათლების ფონი გულისხმობს სტუდენტის ერთ-ერთი მშობლის მიერ უმაღლესი განათლების ქონას.

დახარჯული დრო უფრო მეტად, ვიდრე - მთლიანი დროითი ბიუჯეტი, თუმცა, ცხადია, ამ თვალსაზრისით ქვეყნებს შორის განსხვავება არსებობს.

სტუდენტთა დასაქმება

კვლევაში მონაწილე ქვეყნებში სტუდენტთა ნახევარზე მეტს (51%) აქვს ანაზღაურებადი სამუშაო სალექციო პერიოდის განმავლობაში. სტუდენტთა დაახლოებით მესამედი (35%) დაკავებულია რეგულარულ სამუშაოზე, ხოლო 16%-ს აქვს დროებითი სამუშაო. თუ მხედველობაში მივიღებთ ლექციებიდან თავისუფალ პერიოდსაც, ამ დროის განმავლობაში მუშაობს სტუდენტთა 70%. ამგვარად, სტუდენტთა დაახლოებით 20% მუშაობს მხოლოდ ლექციებისგან თავისუფალ დროს. რაც შეეხება სტუდენტთა ასაკს, მის მატებასთან ერთად იზრდება დასაქმების მაჩვენებელიც: 30 წელზე უფროსი ასაკის სტუდენტებში, 22 წელზე ახალგაზრდა სტუდენტებთან შედარებით, დასაქმების წილი სამჯერ და მეტად იზრდება (შდრ. 65% 20%-ს). კვლევაში მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა რეგულარული დასაქმება სალექციო პერიოდის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 35%-ს.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ უფრო მეტი მაგისტრატურის სტუდენტი (65%) მუშაობს, ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტი (48%). საქართველოში იგივე ტენდენცია შეინიშნება: მუშაობს მაგისტრატურის გაცილებით უფრო მეტი სტუდენტი (67.3%), ვიდრე ბაკალავრიატის სტუდენტი (25.6%).

სალექციო პერიოდში რეგულარულად დასაქმებულ სტუდენტთა ყველაზე ნაკლები, 15%-ზე მცირე წილი არის ალბანეთში (14%), აგრეთვე, იტალიასა და სერბეთში, სადაც ანაზღაურებად სამუშაოზე სალექციო პერიოდში დასაქმებულ სტუდენტთა წილი 11-11%-ს შეადგენს. ამასთან, ალბანეთში სალექციო პერიოდის განმავლობაში დროდადრო მუშაობს სტუდენტთა 9%, ხოლო იტალიასა და სერბეთში - სტუდენტთა 13-13%.

სალექციო პერიოდში რეგულარულ ანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებულ სტუდენტთა ყველაზე მაღალი პროცენტული წილი არის გერმანიასა (54%) და ესტონეთში (53%). ამასთან გერმანიაში სალექციო პერიოდის განმავლობაში დროდადრო მუშაობს სტუდენტთა 17%, ხოლო ესტონეთში - 13%.

ასევე მაღალია სალექციო პერიოდში მომუშავე სტუდენტთა წილი ჩეხეთში (71%), სადაც რეგულარული სამუშაო აქვს სტუდენტთა 49%-ს, ხოლო დროებითი - 22%-ს და ნიდერლანდებში (77%), სადაც რეგულარული სამუშაო აქვს სტუდენტთა 45%-ს, ხოლო დროებითი - 32%-ს.

საქართველოში სალექციო პერიოდის განმავლობაში რეგულარული ანაზღაურებადი სამუშაო აქვს სტუდენტთა 20%-ს, ხოლო დროებითი - სტუდენტთა 10%-ს.

საინტერესოა ქვეყნებს შორის განსხვავება იმის მიხედვით, თუ რომელ - სალექციო თუ ლექციებისგან თავისუფალ - პერიოდში მუშაობენ სტუდენტები. სლოვაკეთში, ფინეთში,

შვედეთში, ხორვატიასა და საფრანგეთში ყველაზე მაღალია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც მუშაობენ მხოლოდ ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში. ამ ქვეყნებში სტუდენტების დაახლოებით მეოთხედი მუშაობს ანაზღაურებად სამსახურში მხოლოდ ლექციებისგან თავისუფალ პერიოდში. **საქართველოში** ასეთ სტუდენტთა წილი 10.4%-ია.

აღსანიშნავია, რომ **საქართველო** შედის ევროპის იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც ყველაზე მაღალია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც საერთოდ არ მუშაობენ, არც სალექციო პერიოდში და არც არდადეგებზე (ან ლექციებისგან თავისუფალ დროს), კერძოდ, **საქართველოში**, ალბანეთსა და სერბეთში ასეთ სტუდენტთა წილი 60-70%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს შორის საქართველოში ასეთ სტუდენტთა წილი მცირდება და 32%-ს შეადგენს.

კვლევაში შესწავლილია სტუდენტთა მუშაობის რამდენიმე მოტივი. მონაწილე ქვეყნებში იმ სტუდენტთა საშუალო წილი, რომლებიც მუშაობენ იმისთვის, რათა დაფარონ საკუთარი საცხოვრებელი ხარჯები 69%-ია; იმ სტუდენტთა საშუალო, რომლებიც მუშაობენ იმისთვის, რათა მიიღონ გამოცდილება შრომის ბაზარზე 59%-ია; იმ სტუდენტთა საშუალო, რომლებიც მუშაობენ იმისთვის, რათა შეინახონ სხვები ფინანსურად 21%-ია, ხოლო სტუდენტთა 50% აცხადებს, რომ საკუთარი ანაზღაურებადი სამუშაოს გარეშე ისინი ვერ იქნებოდნენ სტუდენტები.

იმ ქვეყნებს შორის, სადაც სტუდენტები საკუთარი საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად მუშაობენ, ლიდერობს ფინეთი და ისლანდია. შესაბამისად, სტუდენტთა 93% და 86% მუშაობს ამ მოტივით. ყველაზე მცირე წილი იმ სტუდენტებისა, რომლებიც საკუთარი საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად მუშაობენ, არის **საქართველოში** - სტუდენტების 44% და საფრანგეთში - სტუდენტების 51%.

იმისთვის, რომ იყვნენ სტუდენტები, ყველაზე ხშირად მუშაობენ ნორვეგიასა და ისლანდიაში (შესაბამისად, 73% და 71%), ხოლო შვედეთსა და იტალიაში სტუდენტები ამ მოტივით ყველაზე იშვიათად მუშაობენ (შესაბამისად 33% და 32%). **საქართველოში** მუშაობის ამ მოტივს ასახელებს სტუდენტთა 41%.

მოტივი - სხვის ფინანსური მხარდაჭერა ყველაზე ხშირია ალბანეთში (42%), ხოლო ყველაზე იშვიათი - იტალიაში (5%). **საქართველოში** იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც მუშაობენ სხვისი ფინანსური მხარდაჭერისთვის 25%-ს შეადგენს.

სტუდენტები, რომლებიც მუშაობენ იმისთვის, რათა შეიძინონ გამოცდილება შრომის ბაზარზე ყველაზე ხშირად გვხვდებიან საფრანგეთში (75%), ფინეთსა (74%) და **საქართველოში** (74%), ხოლო ყველაზე იშვიათად - ირლანდიასა (41%) და ისლანდიაში (40%).

საკუთარი თავის იდენტიფიცირება: “პირველ რიგში სტუდენტი ვარ თუ დასაქმებული?”

აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება იმ სტუდენტების წილი, რომლებიც საკუთარ თავს პირველ რიგში დასაქმებულ პირად მიიჩნევენ, ხოლო შემდეგ - სტუდენტად.

თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანაში 22 წლამდე ასაკის სტუდენტების 84% ან მეტი საკუთარ თავს მიიჩნევს პირველ რიგში სტუდენტად, ხოლო შემდეგ - დასაქმებულ პირად (მომუშავედ). შედარებით მცირეა ასეთ სტუდენტთა წილი ალბანეთსა და პოლონეთში, სადაც სტუდენტების შესაბამისად 30% და 29% თავს პირველ რიგში დასაქმებულად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ - სტუდენტად.

22-24 წლის ასაკის სტუდენტებში ასევე სჭარბობს საკუთარი თავის იდენტიფიცირება, როგორც პირველ რიგში სტუდენტისა, ხოლო შემდეგ - დასაქმებული პირისა.

საქართველოში 22 წლამდე სტუდენტებიდან 84% საკუთარ თავს, პირველ რიგში, სტუდენტად მიიჩნევს, ხოლო 22-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში სტუდენტთა 72%.

25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში კვლევაში მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა თითქმის ნახევარი თავს უფრო ხშირად დასაქმებულ პირად მიიჩნევს, ვიდრე - სტუდენტად.

საქართველოში ამ ასაკობრივ ჯგუფში სტუდენტთა 55% მიიჩნევს თავს პირველ რიგში დასაქმებულ პირად, ხოლო შემდეგ - სტუდენტად.

30 წელზე მეტი ასაკის კატეგორიაში ასეთ სტუდენტთა წილი კვლევაში მონაწილე ქვეყნებში კიდევ უფრო დიდია და, უმრავლეს შემთხვევაში, 75%-ის ან მეტის ტოლია. გამონაკლისს წარმოადგენენ შემდეგი ქვეყნები: დანია, სადაც ამ ასაკობრივ ჯგუფში სტუდენტთა 83% კვლავაც თავს პირველ რიგში სტუდენტად მიიჩნევს, ხოლო შემდგომ - დასაქმებულ პირად, ისლანდია (45%), ჩეხეთი (42%), **საქართველო** (40%), ფინეთი (39%) და შვედეთი (34%).

სტუდენტთა ფინანსური მდგომარეობა

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებს შორის საშუალოდ სტუდენტთა 26% განიცდის სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს¹⁰. წილი იმ სტუდენტებისა, რომლებიც სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს უჩივიან, ქვეყნებს შორის ვარირებს 14%-დან 40%-მდე. ამ მხრივ ყველაზე დიდი წილი მოდის **საქართველოზე** (40%), პოლონეთზე (38%), სლოვენიაზე (38%) და ირლანდიაზე (36%). იმ სტუდენტების წილი, რომლებიც განიცდიან სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს, ყველაზე მცირეა ფინეთში (19%), სლოვაკეთში (18%), გერმანიაში (18%) შვედეთში (18%), შვეიცარიაში (17%), ჩეხეთსა (17%) და ნიდერლანდებში (14%).

სტუდენტთა შემოსავლები რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ესენია: **სტუდენტის მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე გამომუშავებული თანხა, ოჯახის მხარდაჭერა, სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები და სხვა წყაროები.**

¹⁰ შედეგები მიღებულია თვითშეფასების საფუძველზე.

ოჯახის კონტრიბუცია. კვლევაში მონაწილე ქვეყნებში ოჯახის კონტრიბუცია საშუალოდ შეადგენს სტუდენტის საერთო შემოსავლის 47%-ს, სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხა - საშუალოდ 34%-ს, სტუდენტთა სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები - საშუალოდ 14%-ს და დანარჩენი წყაროები¹¹ - საშუალოდ 5%-ს.

კვლევის მონაწილე ქვეყანათა დაახლოებით 60%-ში ოჯახის მხარდაჭერა წარმოადგენს სტუდენტის შემოსავლების უმთავრეს წყაროს. აღსანიშნავია, რომ ოჯახის კონტრიბუცია სტუდენტის საერთო შემოსავლების 50%-ზე მეტია შემდეგ ქვეყნებში: სერბეთი (88%), **საქართველო** (76%), პორტუგალია (71%), უნგრეთი (69%), რუმინეთი (63%), ირლანდია (57%), თურქეთი (52%), სლოვაკეთი (52%) და ლიეტუვა (52%). ოჯახის კონტრიბუციის წილი სტუდენტის საერთო შემოსავალში ყველაზე მცირეა ფინეთში (24%), დანიაში (22%), შვედეთსა (20%) და ნორვეგიაში (15%).

თვითგამომუშავებული თანხა. კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის სტუდენტების საერთო შემოსავლების მეორე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სალექციო პერიოდის განმავლობაში თვითგამომუშავებული თანხა. რვა ქვეყანაში: შვეიცარიაში, სლოვენიაში, ესტონეთში, მალტაში, ისლანდიაში, ავსტრიაში, ფინეთსა და ნორვეგიაში სტუდენტთა საერთო შემოსავლებში ყველაზე დიდი პროცენტული წილი აქვს თვითგამომუშავებულ თანხას, თუმცა, ეს წილი არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება 50%-ს. სტუდენტთა საერთო შემოსავლებში თვითგამომუშავებული თანხის წილი ყველაზე დაბალია სერბეთსა (7%) და **საქართველოში** (17%). სტუდენტთა მიერ გამომუშავებული თანხის წილი 20%-დან 30%-მდეა შემდეგ ქვეყნებში: პორტუგალია, ხორვატია, რუმინეთი, ირლანდია, თურქეთი, საფრანგეთი, ნიდერლანდები და დანია.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტთა საერთო შემოსავლების საშუალოდ 14%-ს შეადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები¹². საინტერესოა განვიხილოთ ქვეყანათა შორის განსხვავებები ამ თვალსაზრისით.

დანიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში სტუდენტთა საერთო შემოსავლების მთავარ წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები. დანიაში სახელმწიფო მხარდაჭერა შეადგენს სტუდენტის საერთო შემოსავლების 52%-ს, ნიდერლანდებში - 33%-ს, ხოლო შვედეთში - 41%-ს. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიაში სახელმწიფო მხარდაჭერა ასევე მაღალია და შეადგენს სტუდენტების შემოსავლების 35%-ს (თუმცა, სტუდენტთა შემოსავლების უმთავრესი წყარო მაინც მათ მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე გამომუშავებული თანხაა). ასევე მაღალია სახელმწიფოს მხარდაჭერის წილი საფრანგეთსა (27%) და ფინეთში (25%).

სახელმწიფოს მხრიდან სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის პროცენტული წილი ყველაზე მცირეა (5%-მდე) შემდეგ ქვეყნებში: სერბეთი, **საქართველო**¹³, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლატვია, შვეიცარია.

¹¹ ეს შესაძლებელია იყოს კერძო ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტი, საერთაშორისო დაფინანსება, შვილებთან დაკავშირებული ბენეფიტები და სხვ.

¹² ევროსტუდენტის კვლევის მეთოდოლოგიის მიხედვით, სახელმწიფო მხარდაჭერად მიჩნეულია ის ფინანსები, რომელთაც უშუალოდ განკარგავს სტუდენტი. შესაბამისად, აქ არ მოაზრება საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემული სასწავლო გრანტი;

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა საერთო შემოსავლების შემადგენლობა და წილი იცვლება სტუდენტთა ასაკის მიხედვით. კვლევაში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობაში სტუდენტთა ასაკის მატებასთან ერთად იკვეთება ოჯახის კონტრიბუციის წილის შემცირება. იგივე ტენდენციაა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისითაც. სამაგიეროდ, იზრდება სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხისა და დაფინანსების სხვა წყაროების წილი სტუდენტის საერთო შემოსავლებში. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში 22 წლამდე სტუდენტების ასაკობრივ ჯგუფში სტუდენტთა საერთო შემოსავლების საშუალო ასე გამოიყურება: ოჯახის მხარდაჭერა - 58%, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა - 18%, სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხა - 20%, სხვა წყაროები - 4%; 30 წელზე მეტი ასაკობრივი ჯგუფისთვის კი შემდეგნაირად: ოჯახის კონტრიბუცია - 30%, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა - 7%, სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხა - 56%; სხვა წყაროები - 7%. **საქართველოში** 22 წლამდე სტუდენტების ასაკობრივ ჯგუფში სტუდენტთა საერთო შემოსავლების საშუალო ასეთია: ოჯახის მხარდაჭერა - 81%, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა - 2%, სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხა - 11%, სხვა წყაროები - 5%, ხოლო 30 წელზე მეტი ასაკობრივი ჯგუფისთვის კი შემდეგნაირად: ოჯახის კონტრიბუცია - 55%, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა - 1%, სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხა - 37%, სხვა წყაროები - 6%.

ასევე საინტერესოა, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყნებში, საშუალოდ, იმ სტუდენტებთან, რომელთაც აქვთ უმაღლესი განათლების ფონი, ოჯახის კონტრიბუციის წილი უფრო მაღალია, ვიდრე იმათთან, ვისაც უმაღლესი განათლების ფონი არ აქვთ. ამ თვალსაზრისით ქვეყანათა შორის საშუალო არის 51% უმაღლესი განათლების ფონის მქონე სტუდენტებისთვის და 43% ასეთი ფონის არმქონე სტუდენტებისთვის. უფრო მეტიც, სტუდენტები, რომელთაც უმაღლესი განათლების ფონი აქვთ, იღებენ ოდნავ უფრო ნაკლებ სახელმწიფო ფინანსურ მხარდაჭერას, ვიდრე უმაღლესი განათლების ფონის არმქონე სტუდენტები (შესაბამისად 13% და 15%) და მათ მიერ თვითგამომუშავებული თანხის წილი საერთო შემოსავლებში უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ სტუდენტებისა, რომელთაც უმაღლესი განათლების ფონი არ აქვთ (შესაბამისად 31% და 37%). აღსანიშნავია, რომ **საქართველოს** შემთხვევაში ეს ტენდენცია არ დასტურდება. შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი განათლების ფონის მქონე და არმქონე სტუდენტების ჯგუფებს შორის შემოსავლების კომპოზიციის მიხედვით განსხვავება მცირეა და ის საწინააღმდეგო მიმართულებისაა, კერძოდ, უმაღლესი განათლების ფონის არმქონე სტუდენტებს ჯგუფში მშობლების კონტრიბუცია 1%-ით უფრო მაღალია, ვიდრე უმაღლესი განათლების ფონის მქონე სტუდენტების ჯგუფში (შდრ. 76% და 75%), ხოლო სტუდენტის მიერ გამომუშავებული თანხის წილი უფრო მაღალია უმაღლესი განათლების ფონის მქონე სტუდენტებთან, ვიდრე ასეთი ფონის არმქონე სტუდენტებთან (შდრ. 18% და 15%).

¹³ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროსტუდენტის კვლევის ინტერესს წარმოადგენს ის თანხები, რომელთაც სტუდენტი უშუალოდ განკარგავს. ამდენად, სახელმწიფოს ფინანსურ მხარდაჭერის ცვლადში არ შედის სახელმწიფო გრანტი. თუმცა, ევროსტუდენტის კვლევის საერთაშორისო ანგარიშში აღნიშნულია, რომ **საქართველოში** სტუდენტთა დაახლოებით 31% არ იხდის სწავლის საფასურს სახელმწიფო დაფინანსების გამო;

თვითგამომუშავებული თანხის მოცულობა. სალექციო პერიოდის განმავლობაში სტუდენტების მიერ თვითგამომუშავებული თანხის მედიანა მონაწილე ქვეყნებს შორის არის 326 PPS¹⁴ თვეში. ესტონეთში, პოლონეთში, პორტუგალიაში, რუმინეთში, ლატვიასა და შვეიცარიაში სტუდენტების მიერ გამომუშავებული თანხა ყველაზე მაღალია და შეადგენს სულ მცირე 500 PPS-ს თვეში, ხოლო საფრანგეთში, ხორვატიასა და სერბეთში სტუდენტების მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე გამომუშავებული თანხა შედარებით ნაკლებია და თვეში 182 PPS -დან 89 PPS-მდე ვარიირებს. **საქართველოში** სტუდენტთა მიერ ანაზღაურებად სამუშაოზე გამომუშავებული თანხა ერთ თვეში საშუალოდ შეადგენს 318 PPS-ს.

სტუდენტთა დანახარჯები

სტუდენტთა საცხოვრებელ და სწავლასთან დაკავშირებულ ხარჯებს თუ შევადარებთ, აღმოვაჩინეთ, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყანათა შორის სტუდენტთა საცხოვრებელი ხარჯის საშუალო შეადგენს 89%-ს, ხოლო სწავლასთან დაკავშირებული ხარჯის საშუალო კი - 11%-ს.

ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ფინეთი, შვედეთი, დანია, ესტონეთი და გერმანია, სადაც სტუდენტთა დანახარჯების (როგორც საკუთარი, ასევე მათი მშობლებისა და ოჯახის წევრების მიერ გაღებული) სულ მცირე 95% ხმარდება საცხოვრებელ ხარჯებს, ხოლო სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები არ აჭარბებს მთლიანი დანახარჯების 5%-ს.

ნიდერლანდებსა და ირლანდიაში კი, სტუდენტთა დანახარჯებიდან სწავლაზე დახარჯული თანხის წილი სულ მცირე 21%-ია, ხოლო საცხოვრებელზე დახარჯული თანხის წილი საერთო დანახარჯების 79%-ს არ აღემატება.

საქართველოში სტუდენტთა სწავლაზე დახარჯული თანხის წილი საერთო დანახარჯების 14%-ს შეადგენს, ხოლო საცხოვრებლის ხარჯები - 86%-ს.

რაც შეეხება დანახარჯების განაწილებას სტუდენტებსა და მათ მშობლებს (ოჯახებს) შორის, ქვეყანათაშორის საშუალოს მიხედვით, სტუდენტები იხდიან თავიანთი დანახარჯების ორ მესამედს, ხოლო მათი მშობლები იხდიან დანარჩენ ერთ მესამედს.

თუმცა, ხორვატიაში, პორტუგალიაში, **საქართველოში**, ირლანდიასა და სერბეთში სტუდენტთა დანახარჯების ნახევარზე მეტს მათი მშობლები იხდიან. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში - ნორვეგიაში, ფინეთში შვედეთსა და დანიაში, აგრეთვე ავსტრიაში, პირიქით, სტუდენტთა მშობლები იხდიან მათი შვილების დანახარჯების 20%-ზე ნაკლებს.

¹⁴ იქიდან გამომდინარე, რომ ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნების ნაწილი (ალბანეთი, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, საქართველო, უნგრეთი, ირლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, შვედეთი, შვეიცარია და თურქეთი) არ არის ევროს მოქმედების სივრცეში, სტუდენტთა შემოსავლების გასაზომად გამოყენებულია PPS (Purchasing Power Standard) - შემსყიდველობის სიძლიერის სტანდარტი. იგი საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტთა შემოსავლები.

თუკი „საცხოვრებელ ხარჯებს“ მშობლებისა და სტუდენტების წილის თანაფარდობის თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ქვეყანათა 85%-ში სტუდენტები ფარავენ თავიანთი საცხოვრებელი ხარჯების უფრო მეტ წილს, ვიდრე - მათი მშობლები. საკუთარი საცხოვრებელი ხარჯების სტუდენტების მიერ დაფარვა განსაკუთრებით ხშირია ნორვეგიაში, ფინეთში, ავსტრიაში, შვედეთსა და დანიაში, სადაც ეს დანახარჯი შეადგენს ყოველთვიური მთლიანი დანახარჯის სულ მცირე 78%-ს.

ოთხ ქვეყანაში - ხორვატიაში, პორტუგალიაში, საქართველოსა და სერბეთში - სტუდენტთა საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად მშობლების მიერ გაღებული თანხის წილი უფრო მაღალია, ვიდრე სტუდენტების მიერ გაღებული დანახარჯებისა. მშობლების (სხვა პირების) მიერ გაღებული საცხოვრებელი ხარჯების წილი ხორვატიაში შეადგენს 45%-ს, პორტუგალიაში - 49%-ს, საქართველოში - 47%-ს, ხოლო სერბეთში - 55%-ს.

„სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების“ შემთხვევაში მონაწილე ქვეყანათა 54%-ში სტუდენტების მიერ დაფარული თანხის წილი უფრო მაღალია, ვიდრე მათი მშობლების მიერ დაფარული თანხის წილი. ქვეყანათა 35%-ში საპირისპირო ვითარებაა. ასეთ ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნის საქართველოც, სადაც სწავლასთან დაკავშირებული დანახარჯების დაახლოებით ერთ მეხუთედს იხდიან თავად სტუდენტები, ხოლო დანარჩენ ოთხ მეხუთედს (79%-ს) - მათი მშობლები. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლების წილი სტუდენტთა სწავლასთან დაკავშირებულ დანახარჯებში განსაკუთრებით მაღალია ირლანდიაში, სადაც მშობლები იხდიან ამ დანახარჯების 70%-ს, ასევე თურქეთში, სადაც მშობლების წილი 62%-ია და ხორვატიაში - 75%. ქვეყანათა დანარჩენ 11%-ში კი სწავლასთან დაკავშირებული ხარჯები თანაბრადაა განაწილებული სტუდენტებსა და მათ მშობლებს (ოჯახებს) შორის.

სტუდენტთა საცხოვრებელი ადგილის ფორმის მიხედვით სტუდენტთა დანახარჯები განსხვავებულია. კერძოდ, კვლევაში მონაწილე ქვეყნებში მშობლებთან მცხოვრები სტუდენტების საცხოვრებელი ხარჯები საშუალოდ შეადგენს საერთო დანახარჯების 88%-ს (46%-ს ისინი თავად იხდიან, ხოლო 42%-ს - მათი მშობლები). იმ სტუდენტების საცხოვრებელი დანახარჯებიდან, რომლებიც არ ცხოვრობენ მშობლებთან, სტუდენტების მიერ გადახდილი თანხის წილი შეადგენს 66%-ს, ხოლო მშობლების კონტრიბუცია - 26%-ს. განსხვავება სწავლის დანახარჯების განაწილებაში ნაკლებად გამოხატულია - მშობლებთან მცხოვრები სტუდენტებისა და მათი მშობლების წილი 7-7%-ს შეადგენს, ხოლო იმ სტუდენტების შემთხვევაში, რომლებიც მშობლებთან არ ცხოვრობენ, სწავლასთან დაკავშირებული თანხების დაფარვაში სტუდენტების წილი 6%-ია, ხოლო მათი მშობლებისა კი - 4%.

სტუდენტთა საცხოვრებელი (Form of Housing)

კვლევაში მონაწილე ქვეყანათა უმრავლესობაში, სტუდენტთა უმეტესობა მშობლიური სახლიდან შორს ცხოვრობს, თუმცა ცალკეულ ქვეყნებში გასხვავებული სურათს ვხვდებით.

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყანათა 80%-ში სტუდენტების უმრავლესობა არ ცხოვრობს მშობლებთან ერთად. ისინი ცხოვრობენ მარტო, პარტნიორთან/მეუღლესთან/შვილებთან ან სხვა ადამიანებთან ერთად. ეს სტუდენტები ცხოვრობენ საერთო საცხოვრებლებში ან საერთო საცხოვრებლის გარეთ. ქვეყანათა დაახლოებით ორ მესამედში მშობლებთან ცხოვრება წარმოადგენს ცხოვრების ყველაზე გავრცელებულ ფორმას (საცხოვრებლის სხვა ფორმებთან შედარებით), რადგან სტუდენტთა ერთი მესამედიდან სამ მეოთხედამდე აცხადებს, რომ ისინი მშობლებთან ერთად ცხოვრობენ.

მშობლებთან მცხოვრები სტუდენტების საშუალო წილი ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებში 36%-ია.

განსაკუთრებით მაღალია მშობლებთან მცხოვრები სტუდენტების წილი მალტაში (73%), იტალიაში (69%), **საქართველოში (66%)**, ალბანეთსა (51%) და ხორვატიაში (51%).

შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში და ფინეთში მშობლებთან მცხოვრები სტუდენტების წილი ძალიან მცირეა. კერძოდ, შვედეთში ასეთ სტუდენტთა წილი 13%-ია, ნორვეგიაში - 9%, დანიაში - 8%, ხოლო ფინეთში - მხოლოდ 4%. ამ ქვეყნებში, ისევე, როგორც ლატვიაში, ისლანდიაში, ესტონეთსა და ავსტრიაში ყველაზე მაღალია იმ სტუდენტების წილი, რომლებიც ცხოვრობენ პარტნიორთან/მეუღლესთან/შვილებთან, რაც ცხოვრების ამ ფორმას ყველაზე გავრცელებულს ხდის ქვეყანათა ერთ მესამედში. ქვეყანათა საშუალოს მიხედვით კი, პარტნიორთან/მეუღლესთან/შვილებთან ცხოვრების ფორმის წილი 21%-ია. **საქართველოში** ასეთ სტუდენტთა წილი 10.4%-ია.

საინტერესოა, რომ საშუალოდ სტუდენტთა 15% ცხოვრობს სხვებთან (სხვა ადამიანებთან) ერთად სტუდენტურ საერთო საცხოვრებელსა თუ მის გარეთ. ეს არის ცხოვრების ყველაზე გავრცელებული ფორმა გერმანიაში (სტუდენტთა 29%). საზიარო საცხოვრებელი შედარებით პოპულარულია ასევე იტალიაში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, პოლონეთში, ირლანდიაში, ავსტრიაში, ნორვეგიაში და დანიაში. ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში სტუდენტთა 20-25% სარგებლობს საცხოვრებლის ამ ფორმით. **საქართველოში** საზიარო საცხოვრებელი ფართით სარგებლობს სტუდენტთა 13.9%.

ქვეყანათაშორის საშუალოს მიხედვით, სტუდენტთა 18% ცხოვრობს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში.

ყველაზე მაღალია საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტების წილი სლოვაკეთში, ნიდერლანდებში, რუმინეთში, ლიეტუვაში, თურქეთში, შვედეთსა და ფინეთში, სადაც სტუდენტთა 25%-დან 41%-მდე საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს.

ყველაზე დაბალია საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტების წილი მალტაში, იტალიასა და **საქართველოში**, სადაც სტუდენტთა უმრავლესობა მშობლებთან ცხოვრობს და საერთო საცხოვრებელში მცხოვრები სტუდენტების წილი 5%-ზე ნაკლებია (მალტაში - 1%, იტალიაში - 3%, **საქართველოში** - 2%).

მარტო ცხოვრება ყველაზე ნაკლებად გავრცელებული ფორმაა ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყანათა შორის. ცხოვრების ამ ფორმის საშუალო 10%-ს შეადგენს.

ცხოვრების ეს ფორმა ყველაზე მეტად გავრცელებულია საფრანგეთში, სადაც ყოველი მეოთხე სტუდენტი მარტო ცხოვრობს და ფინეთში, სადაც ყოველი მეხუთე სტუდენტი ცხოვრობს მარტო.

მარტო ცხოვრების ფორმას ყველაზე ნაკლებად მიმართავენ სტუდენტები იტალიაში, ალბანეთში, სლოვენიაში, სლოვაკეთში, პოლონეთსა და ირლანდიაში. ამ ქვეყნებში მარტო მცხოვრები სტუდენტების წილი 5%-ს არ აღემატება.

საქართველოში მარტო მცხოვრები სტუდენტების წილი 13.8%-ს შეადგენს.

სტუდენტთა საცხოვრებელი სიტუაცია იცვლება მათი ასაკის მიხედვით. კვლევაში მონაწილე ქვეყნებში იმ სტუდენტთა წილი, რომლებიც მშობლებთან ან სტუდენტურ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობენ მცირდება მათი ასაკის მატებასთან ერთად.

სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა

ევროსტუდენტის კვლევის მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ სტუდენტთა 20% იყო წასული საზღვარგარეთ სასწავლებლად ან მობილობის სხვა ფორმით.

ქვეყნებს შორის ყველაზე ხშირია საერთაშორისო მობილობა ნორვეგიის, დანიის, სლოვენის, საფრანგეთის, ფინეთის, ნიდერლანდებისა და მალტის სტუდენტთა შორის. ამ ქვეყნებში საერთაშორისო მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტთა პროცენტული წილი 35%-დან 25%-მდე ვარირებს. ყველაზე მცირეა საერთაშორისო მობილობის გამოცდილება ალბანეთის, **საქართველოს**, პორტუგალიისა და შვეიცარიის სტუდენტთა შორის, სადაც სტუდენტთა მხოლოდ 10%-ს ან უფრო ნაკლებს უსარგებლია საერთაშორისო მობილობით (**საქართველოში** ასეთ სტუდენტთა წილი 10%-ია).

ქვეყანათა უმრავლესობაში საერთაშორისო მობილობის ძირითად ბარიერად სტუდენტების მიერ სახელდება “დამატებითი ფინანსური ტვირთი”. ამ პრობლემას ასახელებს საშუალოდ სტუდენტთა 62%, ხოლო **საქართველოს სტუდენტთა - 68%**.

მომდევნო ბარიერია „პარტნიორთან, შვილებთან, მეგობრებთან დაცილება“ (47%). ამ **წინააღმდეგობას საქართველოში ასახელებს სტუდენტთა 41%**.

წინააღმდეგობა „ანაზღაურებადი სამუშაოს დაკარგვა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 35%-ის მიერ, **საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 34%**.

წინააღმდეგობა „მოტივაციის ნაკლებობა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 30%-ის მიერ, **საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 32%**.

ბარიერი „საზღვარგარეთ არსებული სასწავლო პროგრამების ინტეგრაციის სირთულე მშობლიური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამის

სტრუქტურაში“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 28%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 35%.

წინააღმდეგობა „ნაკლები სარგებელი მშობლიურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისთვის“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 27%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 26%.

წინააღმდეგობა „უცხოური ენის ფლობის არასაკმარისი დონე“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 25%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 48%.

წინააღმდეგობა „საზღვარგარეთ მიღწეული შედეგების აღიარების პრობლემები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 23%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 28%.

წინააღმდეგობა „ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ნაკლებობა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 22%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 33%.

წინააღმდეგობა „მობილობის პროგრამებზე შეზღუდული წვდომა“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 18%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 32%.

წინააღმდეგობა „ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული პრობლემები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 16%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 43%.

წინააღმდეგობა „ჯანმრთელობა/შეზღუდული შესაძლებლობები“ დასახელებულია საშუალოდ მონაწილე ქვეყნების სტუდენტთა 8%-ის მიერ, საქართველოში ამ პრობლემას ასახელებს სტუდენტთა 17%.

ძირითადი რეკომენდაციები

- სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებისა და სტუდენტური სივრცეების უზრუნველყოფა;
- სკოლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკის, სტაჟირების ადგილების ჩამოყალიბება და წახალისება;
- სტუდენტური სამუშაოს უზრუნველყოფა, როგორც სალექციო პერიოდში, ასევე ლექციებსგან თავისუფალ დროს;
- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;
- განათლების ფონის გარეშე სტუდენტთათვის საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბება;

- განათლებისა და მასწავლებლის პროგრამებზე სტუდენტთა, განსაკუთრებით, მამაკაც სტუდენტთა სწავლის წახალისება;
- ICT-ის პროგრამებზე ქალ სტუდენტთა სწავლის წახალისება;
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პირობებისა და რესურსების უზრუნველყოფა.

გამოყენებული მასალები

სტუდენტთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში, ევროსტუდენტი VI-ის კვლევის ეროვნული ანგარიში, 2017.

Social and Economic Conditions of Students Life in Europe, Eurostudent VI 2016-2018 |Synopsis of Indicators. wbv, 2018.

Eurostudent VI, Overview and Selected Findings, wbv, 2018.

Combining Study and Paid Jobs, Thematic Review, Eurostudent.eu. 2018.

ევროსტუდენტის მონაცემთა ბაზა - <http://www.eurostudent.eu/results/data>.

დანართები

დანართი - ევროსტუდენტი VI-ის კვლევის მონაწილე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:
ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
შპს - კავკასიის უნივერსიტეტი
სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
შპს - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი
შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
შპს სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი"
შპს - თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
შპს - ქუთაისის უნივერსიტეტი
ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია
შპს - სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი
შპს - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - უმაღლესი სასწავლებელი "ჯორჯია"
შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი
შპს - სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები:
შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტი ჰიპოკრატე
ა(ა)იპ - საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი საზოგადოება ცოდნა
სსიპ - ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯი
შპს - გრიგოლ ხვიციას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი
ააიპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
შპს - ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია
ა(ა)იპ - წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის ცაგერის სასულიერო სემინარია
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი
ა(ა)იპ - მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია
ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო გრემის სასულიერო სემინარია
შპს - ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი
შპს - ამერიკის ბიზნესის აკადემია
შპს - უმაღლესი სასწავლებელი განათლების აკადემია
შპს - ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტი
შპს - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ბათუმის სასულიერო სემინარია
შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი
სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
შპს - ინტერბიზნესის აკადემია
შპს - ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
შპს - თბილისის საერთაშორისო აკადემია
შპს - თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტი